...ა და რედაქცია
...ი, სასახლის ქ.,
...ხნაუროვ ქარვასლა
...მწერნი გაზეთის დახაკვე... მართავენ რედაქციის დილის საათიდგან საღამოს 6—7 ...ს. საზ." წიგნის მაღაზიაში
...მწერავ წერილებს რე... ...ეს არ ბეჭდავს.
...ი მოლაპარაკება რედაქ... ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი
## ქეფირი და კუმისი
ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ თ. კორინასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეებისათვის, ფასი დაკლებულია.
(100—68)
თ. კორინა.

## ...ნიგნის მაღაზია
## ისეიდ გაჩეჩილაძისა
... ყვირილაში მივიღეთ ახლად რუსული და ქართული სახელმძღვანელო წიგნები სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებელი.
აგრეთვე გვაქვს დამზადებული დიდძალი რვეულები საუკეთესო ქაღალდზე დახაზული ქართულის და რუსული წერისათვის.
ყოველივე სამოსწავლო საგნებს ვყიდით ძალიან დაკლებულ ფასად განსაკუთრებით იაფად უთმობთ სოფლის მასწავლებლებს.
(10—2)

სტამბა ტელეფონი 648.
## ორთქლით მომუშავე სტამბა
## ექვთიმე ი. ხელაძისა
ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკკლ. ახალ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).
ტელეფონი 648. სტამბა
სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე მბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.
მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი...ამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.
მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით ...კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ...ლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.
საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ...ასათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе.
(50—47)

ვქესი მან. საღირალი
სამ (3) მანათად!
იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" ხიდქველის, ბევიჩევის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში და სას. სემინარიის ეკონომოსს მღვდ-ეკ. ჯაოშვილთან.
ტფილისის სას. სემინარიის რექტორის არხიმ. ჭერმოგენის მიერ შედგენილი და გამოცემული რუსულ ენაზედ წიგნაკი.
«Задушевный вѣнокъ отъ скорбищей Грузіи на гробъ Наслѣдника Цесаревича Георгія Александровича».
ფასი 15 კაპ. (6—6)

## ექიმი
## ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი;
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ძ. ზირაქი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოწაძე.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

* * * ახალი ისტორიული პიესა. ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერთ ახალგაზდა კაცს ისტორიული პიესა დაუწერია „იანიჩარი", ხუთ მოქმედებიანი დრამა ჩვენის წარსულის ცხოვრებიდან. პიესა ლექსად არის თურმე დაწერილი. ეს პიესა ამ ზაფხულს ერთს ადგილას წაუკითხავთ და მოსწონებიათ. დამწერისათვის უთქვამთ, რომ წარედგინა დრამატიულ საზოგადოებისთვის.

* * * მთავარ-მართებლის ჩამობრძანება. კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის ჩამობრძანებას ტფილისში მოელიან ხვალ საღამოს.

* * * ქართული გამოსაცდელი წარმოდგენები, როგორც ქართული თეატრის გამგეობა აცხადებს, დაიწყება კვირას ამ თვის 29-ს. ამ დღეს ყველა ახალგაზდა მოთამაშეებთ დაურიგდებათ როლები და დაიწყება კიდეც რეპეტიციები. მსურველები გამოცდისა ჯერ-ჯერობით კარგა ბლომად არიან თურმე და ყოველ დღე მატულობს.

* * * აკაკი წერეთლის ჩამოსვლა ტფილისში. ჩვენი ძვირფასი პოეტი აკაკი წერეთელი გუშინ-წინ ჩამოსულა ტფილისში, სადაც ცოტა ხანს დარჩება თურმე და ისევ თავის საჩხერეში გაემგზავრებაო.

* * * ახალი რუსული თვიური ჟურნალი. უმაღლეს მთავრობას ნება დაურთავს ბ-ნ ვ. ყორღანოვისათვის გამოსცეს ტფილისში საყოველთაო ჟურნალი რუსულ ენაზე „ამიერ კავკასიის მოამბე" («Закавказскій Вѣстникъ») ბ-ნ ბეგიჩევის რედაქტორობით. („ნ. ო.")

* * * საქმობა ქალაქის გამგეობაში დღეიდან დაიწყება ზამთრო...

ბის კვალობაზე, ესე იგი დილი 9 საათიდან და გათავდება 3 საათზე, ხოლო კასსა ღია იქნება ორ საათამდე.

*** კურს დამთავრებული იუნკრები. წელს საიუნკრო სასწავლებელში დაასრულა 119 კაცმა, მათ შორის პირველ ხარისხით კურსი დაამთავრა 52 კაცმა, რომელნიც ამ წელშივე მიიღებენ აფიცრობას.

*** ძველი ხელთნაწერები. ამ დღეებში წერა-კით. გამ საზოგადოებას ბ. ედოშვილმა წარუდგინა ქართული ძველი ხელთ-ნაწერები. ეს ხელთნაწერები შეეხება მეფე მირიანის დროს, წმ. ნინოს ცხოვრებას, ქართლის მოქცევას, საეკკლესიო წეს-რიგს სამღვდელო პირთა კურთხევისათვის, ალატის მარხვას, სუფსარქისის მარხვას და სხვას. მათში ერთი არის რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც შედარებულ იქმნა ჩუბინოვის მიერ შედგენილ რუსულ-ქართულ ლექსიკონთან და აღმოჩნდა, რომ ძველი ლექსიკონი ბევრით განირჩევა ჩუბინოვის მიერ შედგენილ ლექსიკონიდან. იყო ეჭვი, რომ ჩუბინოვს ვითომ ესარგებლნოს თავის ლექსიკონის შედგენაში სხვა უკვე შემდგარ ლექსიკონიდან, ამიტომ კარგი იქნება მცოდნე პირებმა დაუპირდაპირონ ეს ახლად ნაპოვნი ლექსიკონი ჩუბინოვის ლექსიკონს და გამოთქვან თავისი აზრი. ხელნაწერის ლექსიკონს არა აქვს არც თარიღი და არცა სჩანს ვისგან არის შედგენილი. თავსა და ბოლოს აკლია რამდენიმე ფურცლები.

*** თელავი. წიგნთ-საცავის უბედ-უბედმართობა. უბრალო სოფლებში და დაბებში, სადაც კი სწავლის გემო გაიგეს, სცდილობენ დაარსონ წიგნთ-საცავები, მაგრამ თელაველებს ლამის მზათ დაარსებული ხელიდამ გამოგვეცალოს ჩვენის უთაურობით. იმის მაგივრად რომ წიგნთ-საცავი წინ მიდიოდეს, წიგნებს იმატებდეს, ახალი უფრო საუკეთესო ცვლილება შემოდიოდეს, იგი უფრო უკან მიდის. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი არის თელავის ინტელიგენციის დაუდევრობა, და კიდევ ის, რომ არა აქვთ ერთი პირი. ძველად ჩვენი მამა-პაპანი სწორედ ამ სენით დაიღუპნენ, და ლამის ამ სენმა დღევანდელ ჩვენ საზოგადო საქმეებსაც ბოლო მოუღოს. ბევრჯელაც მოხსენებულია გაზეთებში თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის არა სასურველი მდგომარეობა, მაგრამ ყოველი თქმა დარჩენილა „სმელ მღაღადებელს უდაბნოსა შინა“, მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ თელავში მცხოვრებელ რიცხვთა შორის ქართველი უფრო მეტია, შემდეგ სომეხი და ბოლოს რუსი. აქაურმა სომხებმა სომხური ენა თითქმის არ იციან, ესენიც ქართულ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთს კითხულობენ, მაშასადამე წიგნთ-საცავში ქართული წიგნების მოთხოვნილება უფრო მეტია, ვიდრე რუსულის, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ქართული წიგნები თითქმის ორჯელ ნაკლებია რუსულზედ, რაიცა ხელს ვერ უწყობს ხელის მომწერლების მომატებას. იმას ვინ სჩივის, რომ ქართული წიგნები ცოტა იყოს ნეტა, რაც იყო ისიც არ დაკარგულიყო დაუდევრობით. ალ. ყაზბეგის და ილია ჭავჭავაძის თხზულებანი თითქმის სუყველა დაკარგულია, აგრეთვე სხვა ბევრი ქართული წიგნები დაქსაქსულია, ჯერ სულ ცოტა იყო, ეხლა კიდევ სულ დაცოტავდა.

ყველა ამას მიუმატეთ საოცარი განკარგულება წიგნთ-საცავის გამგეების, რომ ვისაც ჰსურს წევრად ჩაწერა, უნდა წლით, ან ნახევარი წლით ჩაეწეროს, თუ არა და თვით არ შეიძლებაო, ეს სადაური განკარგულებაა, როდესაც ამნაირი განკარგულებით წევრების რიცხვი არა მატულობს, მაგ. რაც ზაფხულობით მოწაფეები ბრუნდებიან თელავში, ნასამედი მათგანი არავინ ეწერება, რადგანაც ყველას არა აქვს, რომ ორი თუ სამი თვის გულისთვის ერთათ მთელი წ. ან ნახევარ წლის გადასახადი ერთად გადაიხადოს, ამნაირად წიგნთ-საცავს ხელის მომწერლები აკლდება. ბევრი სხვანიც სწორედ ამ მიზეზით არ ეწერებიან. წიგნთ-საცავი გაღებული უნდა იყოს დილის 9—12 საათამ. და საღამოთი 3—9 საათამდის, მაგრამ. ჩვენდა საუბედუროდ, ამ კანონს ბიბლიოთეკარი არ ემორჩილება, თუ ოდესმე მოიწადინა გაღება, გაღები მხოლოთ საღამოთი. ბიბლიოთეკაში მეტის მეტი უსუფთაობაა. გაზეთის წასაკითხად რომ კაცი დაჯდეს, სულ მტვერში გაიგანგლება. ყველა ამას მიუმატეთ ისა, რომ წიგნთ-საცავში თავს იყრიან ყმაწვილი კაცები, გააბავენ ტყუილა საუბარს და თან უწმაწურად ილანძღებიან, ასე რომ, როდესაც ეს ვაჟბატონები შიგ არიან, გაზეთის წაკითხვა ყოვლად შეუძლებელია. აი ამისთანა საუცხოვო წეს-რიგი ჰსუფევს თელავის საზოგადო წიგნთ-საცავში. იმედია, მისი გამგეობა ყველა ზევით აღნიშნულს ყურადღებას მიაქცევს და წიგნთ-საცავს დააყენებენ სასურველ მდგომარეობაზედ.

გულ-შემატკივარი

*** სამეგრელო. მოსავალი. ყოველ მიწის მუშა კაცს, წრევანდელ მოსავლის დიდი იმედი ჰქონდა, რადგანაც ივლისის პირველ რიცხვამდი ყანებს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ივლისის გამუდმებულმა გვალვებმა და დიდმა სიცხეებმა, თითქოს პირობა შეკრეს ერთმანეთთანაო, სხვა ნაირად გადასტრიალეს მუშა კაცის იმედი. თუმცა-და სიმინდები სიმაღლით მეტი გაიზარდნენ, მაგრამ ტაროს გაკეთებას ეხლავე უდგება, როდესაც ტაროს ამოღება დამთავრებულიც უნდა ჰქონოდა. თუ ამინდებმა ამ დაჩაგრულ სიმინდებს ძალიან ხელი არ შეუწყო, წელს საშუალოზე ნაკლებ მოსავალს მოელიან მთელს სამეგრელოში. ამასთან ერთობ ნაკლებ მოსავალს მოელიან ადესის ღვინოსას... სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში საშინლად მძვინვარებს ციებ-ცხელება და სხვა და სხვა გადამდები სენი.

ტელეფონი.

## მცენარეთა მეტყველება

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

ანატომია.

(შემდეგი *)

კრისტალები და სხვა და სხვა ნივთიერება უჯრედის წვენში. უჯრედში ხანდახან მოიპოება კრისტალები; ეს კრისტალები სამ გვარნი არიან: 1) ცალცალკე კრისტალები, 2) მრავალი კრისტალები ერთად გადახლართულები და 3) მრავალი კრისტალები ერთ რიგად მწყობი. უჯრედის წვენში მოიპოება ინულინი შაქარი, სიმჟავე (кислота) ზეთის გვარჯილა და ტყავის მოსაქნელი ნივთიერება (дубильное вещество). ინულინი ქიმიურად ისეთივე ნივთიერებაა, როგორც სახამებელი, მხოლოდ იგი გახსნილია უჯრედის წვენში; გახსნილ ინულინს თუ სპირტი მოხვდა, იმ წამს ინულინი დაილექება და მიიღებს უფერო მარცვლების სახეს. მცენარესთვის ინულინს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სახამებელს; ინულინი არის, მაგალითად, დალიას (георгины) ფესვებში, შაქარი გროვდება ზოგიერთ მცენარებში, მაგალითად ჭარხალში ყურძენში; შაქარი გახსნილია უჯრედის წვენში.

უჯრედების გამრავლება. ყოველი უჯრედი ჩნდება, უეჭველად სხვა უჯრედისაგან; ახალი უჯრედი იღებს დედა უჯრედიდან პროტოპლაზმას, გულს და პლასტიდებს. მთელი დიდი ხე, რომელშიაც რამდენიმე მილიონი უჯრედებია, თავათ ერთ უჯრას წარმოგვიდგენდა.

უჯრედების მრავლ
ნაირად: გაწილვით (
და თავისუფალი გაჩენით
образъ). გამრავლება გაწილ
დეგში მდგომარეობს: ჯერ
გული დიდ ცვლილებაში
ესე იგი გული გძელ ძაფა
ვა, შემდეგში ნაკუწ-ნაკუ
რება; ნახევარი ამ ნაკუწები
მხრივ უჯრედისაკენ მიდის,
ვარი—მეორე მხრივ, ამ გვა
გული ორად იყოფა, შემდეგ
რედში ჩნდება ძგიდე (перегор
ка), რომელიც პროტოპლაზმა
ჰყოფს ორად. უმეტესად უჯრე
ბის გამრავლება ჩნდება გაწილვით
თუმცა თავისუფალის გაჩენითაც
მრავლდება, რომელიც შემდეგში
მდგომარეობს: უჯრედში ჩნდება
რამდენიმე გულუკა ერთი გული
საგან; გულუკაებს ჯერ წინად
რავთ გარს პროტოპლაზმა და შ
დეგ გარსიც უჩნდებათ.

უჯრედების შეერთება. უჯრედ
თავათ ძრიელ მაგრად არიან მ
რულნი ერთი-ერთმანეთზე გარ
ბით; გარს-და-გარს შორის ა
ნივთიერება, რომელიც აწებოე
ერთ უჯრედს მეორეზე ისე, რ
გორც კირი ერთ ქვას მეორე
ანუ ერთ აგურს მეორეზე. ამ ნ
თიერებას უწოდებენ უჯრედშ
ნივთიერებას (межклѣт. вещест
ზოგჯერ უჯრედები [illegible]
[illegible]
რეს სიკვდილამდინ;
ერთი უჯრედი მეორე
და უჯრედსა და უ
რჩება ცარიელი ადგილ
საც უწოდებენ უჯრედშუა
ცეს (межклѣтное простра
ство). თუ უჯრედ შუა სივრცე ჩნდე
ბა მრავალ უჯრედების შორის
მაშინ ეს სივრცე ივსება ჰაერი
დ თვით სივრცეს ჰქვიან უჯრედ შუ
შესასვლელი (межкелѣт. ходы).

მ. ხაალიშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 899.

## თეატრის მატიანე

—

ს. ხაშმი. „სამშობლოს“ წარმოდგენა. წარსული თვის, ივლისის 25 აქაურმა სცენის მოყვარულებმა, დიდის სამზადისის შემდეგ, წარმოადგინეს „სამშობლო“.
ბევრი შრომა გასწიეს ამ წარმოდ
გენის მოსამართად, წარმოდგენ
მოთავეთ. ამ წარმოდგენისათვ
დაგვიხატა დეკორაციები (ტ
გვერდის დეკორაციები, კულის
ციხე) ალექ. ნათიშვილმა, რომე
ბიც 100 მანეთზე მეტი თუ ა
ნაკლები არა ღირს. ეს დიდი
კეთე შეგვძლვნა ბ. ა. ნათიშვილ
რისთვისაც მადლობის ღირსია.
ხაშმის სცენისთვის ძნელი გზა
ლილია. სცენისთვის საჭირო

თებს ნელ-ნელა ვიძენთ და იმედი გვაქვს ახლო მომავალში, რაც შეიძლება უნაკლულოდ გავმართოთ ხოლმე წარმოდგენები. „სამშობლოს“ წარმოდგენამ, რაც შეეხება ვენი სცენის ძალ-ღონეს, ჩინებულად ჩაიარა, მეტადრე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წარმოდგენამ სოფლელ ხალხზე დამსწრენი არა დამსწრეთ უამბობდნენ წარმოდგენის შინაარსს და ისინიც ნანობდნენ, რომ არ მიეცათ შემთხვევა წარმოდგენაზე დასწრებისა. შემოსავალი კი ცოტა იყო, სულ 35 მან. ხარჯიც ამდენივე იყო. შემოსავლის სიმცირე იმას მიეწერება, რომ გარეშე ხალხს ადრე ვერ შეატყობინეს, რომლითაც შემოსავალი იმატებს ხოლმე. აქაური გლეხები კი მომეტებულნი უფასოდ დაესწრნენ. აქაურმა მამასახლისმა თევდორე მამუჩიშვილმაც იმ ღამეს წესიერება დაიცვა, რის გამოც მადლობის ღირსია.

იმედიანი.

## სხვა-და-სხვა ამბავი

უნგრეთის პოეტი პეტეფი. ამა წლის 31 ივლისს სწორედ 50 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც უნგრელთა დიდებული პოეტი ალექსანდრე პეტეფი გარდაიცვალა. უნგრე-ებმა დიდის [illegible] თვის დიდ-მნიშვნელოვანი დღე და მრავალ გვარად სცეს პატივი დაუვიწყარ პოეტის ხსოვნას. პეტეფი უნგრელთა პირველი პოეტია, რომელმაც მსოფლიო სახელი მოიპოვა და მსოფლიო მწერალთა შორის საპატიო ადგილი დაიჭირა. ამიტომ, ვგონებთ, მკითხველებისათვის საინტერესო იქმნება იმის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა, მით უმეტეს, რომ, თუ არ ვცდებით, ქართულს მწერლობაში არაფერი თქმულა და დაწერილა ამ შესანიშნავ პოეტის შესახებ.

პეტეფი სასწავლებელში. მთელი ცხოვრება პეტეფისა სამის სიტყვით შეიძლება აღინიშნოს: სიღარიბე, სიყვარული და სიკვდილი სამშობლოსათვის. პოეტი დაიბადა 1823 წელს და გარდაიცვალა 1849 წელს, მაშასადამე, პეტეფმა სულ 26 წელიწადი იცოცხლა; მაგრამ ეს ხან-მოკლე [illegible] ვრება, ტად მდიდარი იყო შინაარს[illegible] უპია[illegible] ებულს ყოვლისა პეტეფი თავით-ფეხამდე უნგრელი იყო, ამ ხალხივით დაუდგრომელი და მოუსვენარი. ჯერ [illegible] სევ თხუთმეტის წლისა იყო პეტეფი, როდესაც უკვე ექვსი სასწავლებელი ჰქონდა მოვლილი. 1838 წელს ახალგაზრდა პოეტი ქალაქ სელმეჩის გზას გაუდგა იქ მეშვიდე სასწავლებელში შესასვლელად. მაგრამ ვერც იქ გაძლო დიდ ხანს: თავისმა ურჩობამ და მოუსვენარმა ხასიათმა იმ სასწავლებლის კედლებიც დაატოვებინა. გაჯავრებულმა მამამ, ღარიბმა ყასბმა, ეხლა კი ვეღარ მოითმინა შვილის ასეთი დაუდგარი ცხოვრება და მისწერა, ამიერიდგან ჩემგან გროშს აღარ მოელოდეო.

პეტეფი თეატრში. მაგრამ ყმაწვილმა კაცმა მამის მუქარა აინუნშიაც არ ჩააგდო, სელმეჩიდგან დაჰკრა ფეხი, პირდაპირ უნგრეთის დედა-ქალაქ პეშტში ამოჰყო თავი და იქ თეატრში უბრალო სტატისტად შევიდა. სტატისტობის გარდა პეტეფი ხანდისხან ფარნით ხელში არტისტ ქალებსაც აცილებდა ხოლმე. რაღა ლაპარაკი უნდა,, რომ ის ორიოდე გროში, რომელსაც პეტეფი სტატისტობით იღებდა, კუჭს ვერ გაუძღებდა, ამიტომ მალე ამ საქმეს თავი გაანება და ჯარისკაცად შევიდა, მაგრამ პირველსავე თვეს ავადმყოფობამ იძულებულ ჰყო სამხედრო სამსახურზედაც ხელი აეღო.

პეტეფი ისევ სასწავლებელში. ამ დროს პეტეფი თვრამეტის წლისა იყო. უკვე ჭირ-ვარამ გამოვლილმა, ხელახლა მოიწადინა სწავლის განგრძობა; ამ აზრით პროტესტანტთა გიმნაზიაში შევიდა. ამ გიმნაზიის მასწავლებელთა შორის ერთი მოხუციც იყო. მოსწავლეები არაფრად აგდებდნენ მოხუცს და ხშირად სასაცილოდაც-კი იგდებდნენ. ამ შემთხვევაში ყველაზედ მეტ ნიჭს პეტეფი იჩენდა. ერთხელ, როდესაც მოხუცი მასწავლებელი უკვე კლასში იჯდა და მოსწავლეებს გაკვე[illegible]ხავდა, პეტეფი თავისის წინანდელის, ჯარის-კაცის გახუნებულ და გაქონიანებულ ტანისამოსით შეიჭრა კლასში და მასწავლებელს „ჩესტი“ გაუკეთა. მოსწავლეებმა, რასაკვირველია, საშინელი ხარხარი ასტეხეს. მეორე დღესვე პეტეფის თავისი ქაღალდები ჩააბარეს და გამოუცხადეს, მიბრძანდი, სადაც გნებავსო.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**პარიზი.** პრეზიდენტი ლუბე დაბრუნდება პარიზში ნაშუადღევის 4 საათზედ. 6 საათზედ თავმჯდომარედ იქმნება მინისტრთა საბჭოში. დეკრეტს უმაღლეს სასამართლოს მოწვევის შესახებ ლუბეს ხელის მოსაწერად წარუდგენენ 2 (14) სექტემბერს.

**ტური.** დღეს სადგომი გაუჩხრიკეს [illegible] ოთხ კაცს, მათ შორის პონ[illegible] ამ გაჩხრეკას შეთქმულებასთან აქვს კავშირი.

**პარიზი.** დიუბიუკი, პარიზის ანტისემიტთა ლიგის პრეზიდენტი, დღეს საღამოთი დაპატიმრებულ იქმნა.

**პარიზი.** „Eclair“-ი ამბობს, რომ შეთქმულობაში 30 მდე კაცია ჩარეული. „Matin“-ი 44 კაცამდე ასახელებს.

**რენნი.** ხალხის დაუსწრებლად კრებამ ერთი საათი გასტანა. ეს კრება ჯაშუშობის შესახების საიდუმლო dossier-ის განხილვას მოუნდა. საჯარო კრება დაიწყო 8 საათზედ. ლაბორიმ წარუდგინა სასამართლოს თავისი დასკვნა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა მთავრობამ დიპლომატიურის მოლაპარაკებით მიიღოს უცხო სახელმწიფოსაგან ის საბუთის ქაღალდები, რომელიც ბორდეროშია ჩამოთვლილიო. ლაბორიმ ამას გარდა მოითხოვა სასამართლოს მიერ გამოწვეულ იქმნან შვარც-კოპენი და პანიცარდი. კარიერმა განაცხადა, საჭიროა, რომ მთავრობამ მიჰმართოს უცხო სახელმწიფოს და მოსთხოვოს ის საბუთის ქაღალდები, რომელთაც არც დიპლომატიური და არც ოფიციალური მნიშვნელობა არა აქვთო რაც შეეხება შვარც-კოპენისა და პანიცარდის გამოწვევას, ამაში უხეიროს არაფერსა ვხედავთო. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლო ამის შესახებ დადგენილებას შემდეგ შეადგენსო.

„Matin“-ის რედაქტორმა ბოსსემ განაცხადა, ესტერგაზიმ მითხრა, რომ ბორდერო მე დავწერე 1894 წელსა სანდგერის წინადადებით, რომელიც მოწადინებული იყო დრეიფუსის დაღუპვასაო.

როჟემ სთქვა, რომ ესტერგაზის ნათქვამი ფაქტიურად სიმართლეს მოკლებულიაო.

25 აგვისტო

**სტრასბურგი.** ბანკეტზედ იმპერატორმა დალია საიმპერატორო ქვეყნების სადღეგრძელო და მადლობით აღნიშნა ის გულ მხურვალება, რომლითაც მას ეგებებიან. შემდეგ მოიხსენია, რომ საიმპერატორო ქვეყნები დიდად დაწინაურდნენ მას შემდეგ, რაც იმპერიას შეუერთდნენ. მეო, სთქვა იმპერატორმა. პატივსა ვცემ უწინდელ თაობათა გრძნობას, რომელთაც ემძიმებოდათ ახალი გარემოებანი და ვმადლობ ვამარჯვებულ ახალგაზრდა თაობასაო. იმპერატორმა სთხოვა სამღვდელოებას დამეხმარეთ ტახტისადმი პატივისცემისა და იმპერიისადმი ნდობის განსამტკიცებლადაო.

**პარიზი** ანგულემსა, ნევერსა მარსელსა და ბორდოში კონსტიტუციის საწინააღმდეგო შეთქმულება აღმოაჩინეს როიალისტთა და ანტისემიტთა შორის. პარიზში მშვიდობიანობაა; შაბროლის ქუჩაზედ ყველაფერი წინანდებურად არის.

**რენნი.** დემანჟმა სთქვა, არ მესმის, რად გვარწმუნებენ, ვითომ დამცველთა მთავარ-შტაბის შემწიკვლა სურდეთო. როჟემ განმარტა ესტერგაზისაგან ბორდეროს დაწერის აღიარება არ შეიძლება მივიღოთ; მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ესტერგაზი მოღალატე არ არისო. შემდეგ როჟემ გაიმეორა აზრი იმ აფიცერთა მდგომარეობის შესახებ, რომელნიც შტაბში იყვნენ დანიშნულნი 1894 წ. დრეიფუსმა უპასუხა როჟეს, რომ ის ცირკულიარი, რომელიც სასამართლოს წარედგინა 17 მაისს, სრულიად ცხადიაო. დრეიფუსმა გაიმეორა, მე არასოდეს არ მითხოვნია ალღუმზედ გაგზავნა და ვერ დავწერდი სიტყვებს: „ალღუმზედ მივდივარო“. მე არამც თუ არ წავსულვარ ალღუმზედ, არც უნდა წავსულიყავიო (ხანგრძლივი მოძრაობაა).

დეფუას, „temps“-ის რედაქტორის, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, რომელმაც სთქვა, ესტერგაზიმ ლონდონში ჩემთან აღიარა ბორდეროს შედგენაო, სასამართლომ ტრარიე გამოიხმო მოწმემ განმარტა, თუ როგორ შეეპარა მას ეჭვი დრეიფუსის დამნაშავეობაზედ. მეო, სთქვა მან ვერ გამიგია, თუ როგორ ვერ მიმხვრო პიკარმა თავისი უფროსები ამ მხრითაო. პიკარის დატუსაღებისა და ანრის ამხანაგების ხრიკების შესახებ ხანგრძლივის ლაპარაკის შემდეგ, ტრარიემ სთქვა, ესტერგაზი მისმა ყოფა-ცხოვრებამ აიძულა დანაშაულის ჩადენაო; მე არა მგონია, რომ 18—96 წ. თუნდ ერთი საბუთი მაინც ჰქონოდა ვისმე დრეიფუსის საწინააღმდეგოდ, იმიტომ რომ გონზი ამ საბუთს პიკარს უჩვენებდაო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე, როცა დრეიფუსის უდანაშაულობის დამტკიცებას ვცდილობდიო. ტრარიემ შემდეგ მოიხსენია თუ როგორ ინახულა მან ერთი უცხო ქვეყნის ელჩი, რომლისაგანაც შეეტყო, რომ საბუთის ქაღალდის სიტყვებით: „ეს არამზადად“. დრეიფუსს არ ეკუთვნის და რომ მოღალატე ესტერგაზი იყო. ტრარიემ გაიმეორა თავისი ჩვენება, რომელიც საკასაციო პალატას მისცა. იმ საყვედურის საპასუხოდ, რომ ჩვენება მას საზღვარ-გარეთიდგან აქვს ნასესხები, ტრარიემ სთქვა, კანონი არ გვიკრძალავს ასეთ მოწმობასაო, გალიფემაც საკასაციო პალატის წინ ტალბოტის მოწმობა მოიყვანაო. ტრარიემ მოაგონა სასამართლოს, მე კავენიაკს ანრის სიყალბე ვუჩვენეო და გაიკვირვა, რად არ შეიტანა მერსიემ dossier-ში 2 ნოემბრის დეპეშის ოფიციალური თარგმანიო. შემდეგ მოწმემ უარ-ჰყო კიუნიე-

ეს და როგეს დასკვნები ამ დეპეშის შესახებ. ტრარიე ცდილობს დაამტკიცოს, ესტერგაზი ვალებით იყო ავსებული და მას არც-კი ჰქონდა ფრანგის სულით ის — ნამდვილი მოღალატეაო, რაც შეეხება დრეიფუსს, ის ვერ დასწერდა ბორდეროსაო. ტრარიე ჰკითხულობს საბუთის ქაღალდს, რომელსაც საგნად აქვს იმის დამტკიცება, რომ აგენტს ვ-სა და მის მთავრობას შუა შუამავლები არ არსებობდნენ ბორდეროს გარჩევაო, დასძინა მან, ჩემი საქმე არ არისო. კარიერი დაუბრუნდა იმ ნაწილს ტრარიეს ჩვენებისას, რომელიც უცხო-ქვეყნელ მოწმეებს შეეხებოდა, და სთქვა, იმ საბუთის ქაღალდების შოვნა რომ შეიძლებოდეს, რომლებზედაც ტრარიე გვითითებს, ყოვლად ბედნიერი ვიქნებითო. ლაბორის კითხვაზედ, ტრარიემ უპასუხა უცხო ქვეყნის ფულების მოხმარა დრეიფუსისაგან ცილის წამებაა, რომელიც ტყვილად დაუჯერებია მერსიესაო.

სასამართლომ შემდეგ ერთხმად უარ-ჰყო ლაბორის დასკვნები და განაცხადა, შესაძლებელად არა ვცნობთ განაჩენის შეწყვეტით მთავრობის მხრით დიპლომატიური მოქმედება გამოვიწვიოთო. ერთხმად დადგენილ იქმნა, რომ ხვალ ჩვენება ჩამოერთვას ჩერნუსკის ხალხის დაუსწრებლად.

**პარიზი.** შვარცკოპენსა და პანიცარდის წინადადება მიეცემათ წარსდგნენ რენის სასამართლოს წინ. მათის მოწვევის ქაღალდი გარდაეცემა სამხედრო მინისტრს, რომელიც მას სასჯელ საქმეთა მინისტრს გარდასცემს. სასჯელ საქმეთა მინისტრი მიჰმართავს გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს, რომელიც შეატყობინებს ამას საფრანგეთის ელჩებს ბერლინსა და რომში, ისინი-კი თვისის მხრით იხმარენ ყოველ ღონისძიებას. შვარცკოპენსა და პანიცარდის შეუძლიათ ან პირადად წარუდგნენ სასამართლოს, ან და გაუგზავნონ ჩვენება თავიანთის ქვეყნის მოსამართლეს, რომელიც ამ ჩვენებას რენის სასამართლოს გარდასცემს. ამ მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევა სასამართლოს ერთის კვირით მაინც დააგვიანებს.


# გამოცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

„ბ ე რ ა ნ ჟ ე“

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იმერული**

**სცენები**

შეკრებილი **კ. მესხის** მიერ

ფასი **5** კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—12)

---

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

**თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ნ ი**

**ა. ს. პუშკინისა**

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

---

იაქციეთ ყურადღება ამ მარილს და საყურადღებო განცხადებას!

ყველასათვის საინტერესოა, ხოლო განსაკუთრებით

**პროვინციელ ქალებისა და ვაჟებისათვის**

**100** სადარბაზო ბარათი (Визитныя карточки)

**100** ფოსტის ქაღალდი (Почтовыя бумаги)

**100** მათივე კონვერტი (Почтов. конверты)

**სახელის და გვარის დაბეჭდვით.**

(ვისაც უნდა წოდებაც და ადრესიც იბეჭდება)

ყოველივე ზემოდ მოხსენებული გაეგზავნება იმას

ვინც გაიმეტებს მხოლოდ




ვინც მოისურვებს, რომ ფოსტის ქაღალდზე ან სადარბაზო ბარათზე მათი სურათიც იყოს ამბეჭდილი, იგი ზემოხსენებული 3 მან. გარდა, კიდევ 3 მან უმატებს.




მსურველნი მიმართონ: ტფილისში ვ. გუნიას სტამბას.

Тифлисъ, Дворцовая ул. Типографія В. Гуніа.

# СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

**общедоступный еженедѣльный журналъ**

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

**Подписная цѣна:** съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-то Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОВЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербургъ Невскій. 148.

**Въ журналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Баженовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. П. Жуковскій.—Проф. С. І. Залесскій.—Д-ръ М. Д. Ильинъ.—Д-рь В. ф. Краевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е. В. Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).—Проф. И. П. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. Р. Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шэхтеръ и др.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и 16 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.